# ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№2, 25 თებერვალი, სამშაბათი, 2020 წელი


## თარგმანი

**ჟან ჟიონო**

### კაცი, რომელიც ხეებს რგავდა

ადამიანის ხასიათის გამორჩეულ თვისებებს რომ ჩავწვდეთ, ბედმა უნდა გაგვიღიმოს და წლების მანძილზე მის ქმედებაზე დაკვირვების საშუალება უნდა მოგვეცეს. თუ მისი საქციელი თავისუფალია ეგოიზმისაგან, თუკი მისი ვიტალური შინაარსი დაფუძნებულია კეთილშობილებაზე და თუ ის სავსებით დარწმუნებულია, რომ სასიკეთო და ქველი საქციელისათვის საზღაურს არასოდეს არსაიდან მიიღებს, მაშინ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენს წინაშეა ადამიანი-ჰიმნი.

დაახლოებით ორმოციოდე წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც ფეხით გავიარე ტურისტებისათვის სრულიად უცნობი მაღლობები ალპების იმ უძველეს რეგიონში, რომელიც პროვანსამდე აღწევს. სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით ამ რეგიონს ესაზღვრება მდინარე დიურანსის დინების შუაწელი, სისტერონსა და მირაბოს შორის, ჩრდილოეთით – დრომის ზემო დინება, შესართავიდან დიმდე; დასავლეთით – ვენესენის საგრაფოს ველები და ვანტუს მთის კლდოვანი მხარე. ის მოიცავს ქვემო ალპების დეპარტამენტის მთელ ჩრდილოეთ მხარეს, დრომის სამხრეთ ნაწილს და ვოკლუზის მცირე ანკლავს. ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც ხანგრძლივი მოგზაურობა წამოვიწყე ათას ორას, ათას სამას მეტრ სიმაღლეზე მდებარე მოშიშვლებულ და ერთფეროვან უდაბნოში, სადაც მხოლოდ ველური ლავანდა ხარობდა. გადაწყვეტილი მქონდა, კარგად დამეთვალიერებია ეს მხარე და სამი  დღის სიარულის შემდეგ აღმოვჩნდი სრულიად უკაცრიელ ადგილას. ჩემი კარავი მიტოვებული სოფლის ნანგრევების მახლობლად დავდგი და, რადგან წყალი ჯერ კიდევ წინა დღით გამომელია, წყაროს ძებნას შევუდექი.

კრაზანების ბუდესავით ერთად თავმოყრილმა, გვარიანად  ჩამოქცეულმა სახლებმა მაფიქრებინა, რომ აქ წყარო ან ჭა უნდა ყოფილიყო. ჩემდა სამწუხაროდ, მხოლოდ დამშრალი წყაროს კვალი აღმოვაჩინე. ირგვლივ იდგა წვიმისა და ქარისაგან გამოფიტული, ხუთი თუ ექვსი თავდახრილი სახლი და ჩამონგრეული პატარა სამლოცველო სამრეკლოთურთ. არსად არ ჩანდა სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალიც კი.

შორეთში შავი სილუეტი შევნიშნე. ვიფიქრე, ხე ხომ არ არის-მეთქი და, რაკი სხვა არჩევანი არ მქონდა, მისკენ გავემართე. მწყემსი აღმოჩნდა. ოცდაათიოდე ცხვარი გახურებულ მიწაზე გართხმულიყო და ისვენებდა. მწყემსმა მათარიდან წყალი დამალევინა და პლატოს შვერილზე მდგარ ფარეხისაკენ გამიძღვა. საოცრად კარგი წყალი იყო, მწყემსი ძალიან ღრმა, ბუნებრივი ჭიდან იღებდა, რომელზეც მარტივი ჯალამბარი დაემაგრებინა. მარტოხელები, ჩვეულებრივ, სიტყვაძუნწები არიან. ეს კაციც ძალიან ცოტას ლაპარაკობდა; იგი თავის თავში დარწმუნებული და ღირსებააღვსილი ჩანდა, რასაც საქმითაც ამართლებდა. ერთი კვირა იცხოვრეთ ამ უწყლო და გავერანებულ არემარეში და მაშინვე მიხვდებით, რაზეა ლაპარაკი.

მწყემსი ქოხში კი არა, ქვით ნაგებ სახლში ცხოვრობდა, რომელსაც კარგად ეტყობოდა ის გარჯა, რაც მას ამ ნანგრევების ამოსაშენებლად დასჭირდებოდა. სახურავი მყარი და წყალგაუმტარი გახლდათ. კრამიტზე მონავარდე ქარი ნაპირზე შეხლილ ზღვის ტალღების ხმას გამოსცემდა. ფრიად მოწესრიგებული საცხოვრისი ჰქონდა, დარეცხილი ჭურჭელი, დაგვილი იატაკი, გულდაგულ გაპოხილი თოფი, ცეცხლზე წვნიანი იხარშებოდა. მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ თვით მწყემსიც სუფთად იყო გაპარსული, ყველა ღილი მყარად ჰქონდა მიმაგრებული, ტანსაცმელი კი ისეთი რუდუნებით ჰქონდა დაკემსილი, რომ ნაკერები არც ეტყობოდა. მწყემსმა წვნიანზე მიმიპატიჟა. სადილის შემდეგ ქისით თამბაქო შევთავაზე. იუარა, არამწეველი აღმოჩნდა. ეზოში დარბოდა ძაღლი, პატრონივით, ერთი შეხედვით, უკარება, ჩუმი, მაგრამ აშკარად კეთილგანწყობილი.

იქვე შევთანხმდით, რომ ღამეს მის სახლში გავათევდი. ყველაზე ახლო სოფელი აქედან დღენახევრის სავალ მანძილზე მდებარეობდა. ოთხი თუ ხუთი სოფელი მთის კალთებზე მიმოფანტულიყო, თეთრი მუხების ნაკაფიდან სავალი გზის დასასრულამდე დასახლებული ხისმჭრელებით, რომლებიც ნახშირს ამზადებდნენ. საერთოდ, აქაურ ყოფაზე კარგი არ ითქმოდა. უკიდურესად მკაცრი ჰავა, ზამთარ-ზაფხულ გაჭირვება კიდევ უფრო ამძაფრებდა მცხოვრებთა ეგოიზმს. ამ ადგილებიდან თავის დაღწევის მუდმივი სურვილი გაუმართლებელ და ზღვარგადასულ ქიშპობას შობს. ხასიათის ყველაზე უფრო მტკიცე თვისებებიც კი იმსხვრევა ამ გაუთავებელი დაპირისპირების გამო. კაცებს თავიანთი ნახშირი ქალაქში გადააქვთ და უკან ბრუნდებიან. ქალები შურის ალში იწვიან. აქ ყველაფერზე კონკურენციაა: იქნება ეს ნახშირის გაყიდვა, ადგილები ეკლესიაში, მოჩვენებითი სათნოება თუ უზნეობა. გაუთავებელი ქარი გამუდმებით წეწავს ნერვებს. ფართოდ არის  გავრცელებული თვითმკვლელობა, მკვლელობა, სადიზმი და სხვა მრავალი უბედურება.

მწყემსმა პატარა ჩანთა აიღო, მაგიდაზე გადმოაპირქვავა და რკოს ზვინი აღმართა. შემდეგ სათითაოდ დაიწყო მათი გადარჩევა. თითოეული რკო თვალთან ახლოს მიჰქონდა, ათვალიერებდა, რომ დამსკდარი არ შეჰყოლოდა. მე ჩიბუხს ვეწეოდი და მის საქმიანობას ვაკვირდებოდი. დახმარება შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა. ჩანდა, რომ ამას მხოლოდ საკუთარ საქმედ მიიჩნევდა. მწყემსი მართლაც უჩვეულო მზრუნველობით ეკიდებოდა ყველაფერს, ამიტომაც აღარ ჩავაცივდი. მას შემდეგ, რაც საკმაოდ ბევრი ჯანსაღი რკო დააგროვა, ათობით გადაანაწილა პაკეტში.  ასე შეარჩია ასი ჯანსაღი რკო. ამის შემდეგ დასაძინებლად გავემზადეთ. ამ კაცის სიახლოვე სიმშვიდეს მგვრიდა. ბევრი რამ მაინტერესებდა და მსურდა, უფრო მეტი შემეტყო, ამიტომ ვთხოვე, ნება დაერთო, მასთან კიდევ ერთი დღე დავრჩენილიყავი. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა.

მეორე დღეს, დილით, მწყემსი ფარას საძოვრისაკენ გაუძღვა. წასვლის წინ ჩანთა წყლის სათლში დაასველა. ჩანთაში ეწყო დიდი ზრუნვით შერჩეული და დათვლილი რკო.

შევნიშნე, რომ ხის ჯოხის ნაცვლად, მეტრნახევარი სიგრძისა და ცერის სიმსხო რკინის ჯოხი ეკავა ხელში. თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვსეირნობდი და უკან ავედევნე. საძოვარი გადაშლილიყო პატარა ხევის სიღრმეში. მეცხვარემ ფარა ძაღლს მიანდო, თვითონ კი ჩემკენ გამოემართა. შემომთავაზა, თუკი გსურს, გამომყევიო. ის მიდიოდა ზევით და ზევით. ორასიოდე მეტრი რომ გავიარეთ, მწყემსი შეჩერდა, ჩანდა, რომ სასურველ ადგილს მიაგნო. მერე მიწის თხრა დაიწყო რკინის ჯოხით, ამოთხრიდა ორმოს, შიგ ჩააგდებდა რკოს და მიწას აყრიდა, მუხას თესავდა. მე ვკითხე, თუ ვის ეკუთვნოდა ეს მიწა. მწყემსმა მითხრა, რომ მიწა მისი არ იყო და არ იცოდა, ვინ იყო ამ მიწის მფლობელი, ვარაუდობდა, რომ მიწა, შესაძლოა, სახელმწიფოს კუთვნილება ყოფილიყო, ან კიდევ მისი, ვინაც დიდი ხანია, დაივიწყა მისი არსებობა. ამ კაცს სულაც არ აღელვებდა მფლობელის ვინაობა, უკიდურესი მზრუნველობით დათესა თავისი ასი რკო და უკან გამოვბრუნდით.

საუზმის შემდეგ, კვლავ ნაყოფის დახარისხებას შეუდგა. საკმაო ძალდატანება დამჭირდა იმისთვის, რომ ჩემს კითხვებზე პასუხი გაეცა. სამი წლის განმავლობაში რგავდა ხეებს სრულიად მარტო. უკვე ასი ათასი ჰქონდა დარგული. ამათგან ოცი ათასი ამოსულიყო. აქედან, შესაძლოა, ნახევარი დაღუპულიყო მღრღნელებისა თუ სხვა გაუთვალისწინებელ ბუნებრივ მიზეზთა გამო. რჩებოდა ათი ათასი მუხა, რომელიც ამ ყველასაგან მიტოვებულ ადგილას უნდა გაზრდილიყო.

სწორედ მაშინ დავინტერესდი ამ კაცის ასაკით. შესახედაობით ორმოცდაათს იყო გადაცილებული. ჩემს შეკითხვაზე, რა ხნისა ხარ-მეთქი, – ორმოცდათხუთმეტისო – მომიგო. სახელად ელზეარ ბუფიე ერქვა. ბარში თავისი ფერმა ჰქონია და ცხოვრებაც იქ გაუტარებია. იქ დაუკარგავს ერთადერთი ვაჟი, შემდეგ კი – ცოლი. მაშინ განმარტოებულა, ცხვარს და ძაღლს დამეგობრებია და ცხოვრების მდორე დინებაში უპოვია შვება. მწყემსი ფიქრობდა, რომ ამ მხარეს ხეების ნაკლებობა ღუპავდა და, ვინაიდან სხვა საზრუნავი აღარ ჰქონდა, ამ საქმისათვის გადაუდია თავი.

მიუხედავად ჩემი ახალგაზრდული ასაკისა (მაშინ მეც მარტოხელა ვიყავი), ვიცოდი, როგორ სათუთად უნდა შევხებოდი ასეთი ადამიანის სულს. ვუთხარი, რომ 30 წელიწადში ეს ათი ათასი მუხა უკვე შესანიშნავი იქნება-მეთქი. მან უბრალოდ მიპასუხა,  რომ თუ ღმერთი ადროვებდა,  30 წელიწადში იმდენ მუხას დარგავდა, რომ ეს ათი ათასი ზღვაში წვეთი იქნებოდა. სხვათა შორის, წიფლის გამოყვანასაც სწავლობდა და სახლთან ახლოს წიფლის სანერგეც გაეშენებინა, რომელსაც გარშემო მავთულის ბადე ჰქონდა შემოვლებული. შიგ მშვენიერი ნერგები ხარობდა. დაბლობში არყის ხეების მოშენებას აპირებდა, რასაც ხელს უწყობდა ნესტიანი ნიადაგი.

ერთმანეთს მეორე დღეს დავშორდით.

მომავალ წელს უკვე I მსოფლიო ომი დაიწყო და ხუთი წლის განმავლობაში ამ ომში ვიყავი ჩაბმული. ინფანტერიის ჯარისკაცს ხეები, ბუნებრივია, ვერ გამახსენდებოდა. მართალი რომ ვთქვა, ელზეარ ბუფიესთან შეხვედრას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება არც მოუხდენია. მისი გატაცება ჩავთვალე ისეთ აკვიატებულ იდეად, როგორიცაა, მაგალითად, მარკების შეგროვება, კიდევ, რაღაც სხვა, მთლად უაზრო ჰობი და ეს ფაქტი საერთოდ დავივიწყე.

დემობილიზაციის პირველ რიგებში მოვყევი და ომიდან დაბრუნებულს, ერთი სული მქონდა, ცოტაოდენი სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა. ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე იმ უდაბური მიდამოსაკენ მიმავალ გზას დავადექი. ირგვლივ ყველაფერი უცვლელი იყო. მკვდარი სოფლის თავზე, შორეთში შევნიშნე ნაცრისფერი ნისლი, ხალიჩასავით რომ მოსდებოდა თავზე მწვერვალებს. ჩემი ფიქრები კვლავ მეცხვარეს მიუტრიალდა. ,,ათი ათასი მუხა – ვფიქრობდი ჩემთვის – ნეტავ რამხელა ადგილს დაიკავებდა?"

ხუთი წლის მანძილზე იმდენი ადამიანის სიკვდილს შევესწარი, გასაკვირი არ იყო, ელზეარ ბუფიეც მკვდარი მგონებოდა. ოცი წლისას ორმოცდაათი წლის ადამიანი უკვე მოხუცი გგონია, რომელსაც სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენია. იგი ცოცხალი აღმოჩნდა. საკმაოდ ახალგაზრდადაც გამოიყურებოდა. პროფესიაც შეუცვლია. ახლა მხოლოდ ოთხი ბატკანი ჰყავდა. სამაგიეროდ, ასიოდე სკა დაედგა. ცხვრები იმიტომ მოუშორებია თავიდან, რომ ხეების პლანტაციას უნადგურებდნენ. როგორც თავად მითხრა, ომი მას სრულებით არ შეხებია, უშფოთველად აგრძელებდა ხეების მოშენებას.

მეტისმეტად სიტყვაძუნწობდა, მეც თავშეკავებული ვიყავი და მთელ დღეს ტყეში ვსეირნობდით ხმაამოუღებლად. თერთმეტი კილომეტრი სიგრძის და სამი

კილომეტრი სიგანის ტყე სამ ნაწილად იყო დაყოფილი. თუ კაცი გაითვალისწინებდა იმას, რომ ეს ყველაფერი ტექნიკურ საშუალებებს მოკლებული პიროვნების სულიდან და ხელიდან გამოდიოდა, მაშინ გაგიღვივდებოდათ რწმენა იმისა, რომ ადამიანს შეეძლო, ნგრევის გარდა, აღშენების მხრივაც ყოფილიყო ღვთისდარი შემოქმედი.

დღითიდღე ფრთებს ისხამდა მისი ჩანაფიქრი: თვალუწვდენელ მანძილზე გადაჭიმული წიფლის ტყე უკვე მხრებამდე მწვდებოდა, მუხებიც მომაგრებულიყვნენ, ახლა მღრღნელები მათ ვერაფერს დააკლებდნენ. ამიერიდან ელზეარს მხოლოდ ქარიშხლების დამანგრეველი ძალისაგან უნდა დაეცვა თავისი ქმნილება. მან მიჩვენა არყის ხის მომხიბლავი ამონაყარები, რომლებსაც ხუთი წელი შესრულებოდათ. იმ დროს, როცა მე ვერდენთან ვიბრძოდი, მან ეს ხეები დაბლობ ადგილას მოაშენა. გამართლდა მისი ვარაუდი – ნიადაგი საკმაოდ ნესტიანი გამოდგა და ნერგებმაც იხარეს. სიცოცხლე თანმიმდევრულად, ბუნებრივად იკვლევდა გზას. სოფელში ჩამოსვლისას დავინახე, რომ ნაკადულების კალაპოტებში წყალი კვლავ მოწანწკარებდა. არადა, ადამიანთა მახსოვრობას ეს ნაკადულები მხოლოდ წარსულის მოგონებად შემორჩენოდა. ჩემს თვალწინ გადაიშალა სიცოცხლის ხელახლა დაბადების საოცარი სურათი. ჩემი მოთხრობის დასაწყისში ნახსენები ნაღვლიანი სოფლები რომაელთა უძველეს სოფელთა ნაშთებზე აუგიათ, დამშრალ კალაპოტებში ოდესღაც წყალი დიოდა. არქეოლოგიურ კვლევებს ამ ადგილებში დამზადებული ანკესებიც აღმოუჩენია. ახლა კი, XX საუკუნეში, წყლის შესანახად აქ ცისტერნები გამხდარა საჭირო. ქარიც აბნევდა მარცვალს და ხელს უწყობდა ხეების გამრავლებას. წყლის გაჩენასთან ერთად იხარა ძეწნამ, ტირიფმა, მდელომ, ბაღმა, ყვავილებმა. მაგრამ ეს ცვლილებები ნელა და შეუმჩნევლად მიმდინარეობდა. ამ უკაცრიელ მიდამოში კურდღელს თუ ტახს გამოდევნებული მონადირე ხედავდა პატარა ხეების გამრავლებას, მაგრამ ამ პროცესს ადამიანები დედამიწის მორიგ ოინად მიიჩნევდნენ. ამიტომ იყო, რომ ამ კაცის ნამოქმედარს არავინ ეხებოდა. ეჭვი რომ მიეტანათ, მაშინვე წინ აღუდგებოდნენ, ის კი ეჭვმიუტანელი იყო.

1920 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ წელს მივდიოდი ელზეარ ბუფიეს სანახავად. არასდროს მინახავს შემდრკალი და დაეჭვებული. არც არაფერი მითქვამს მის მძიმე ხვედრზე. ადამიანის ბედი უფლის ხელშია. თუმცა, ადვილი წარმოსადგენია, რომ ამგვარი წარმატების მისაღწევად მოწინააღმდეგე უნდა დაამარცხო, ხოლო ასეთი ხალისითა და ენერგიით მოპოვებული გამარჯვება რომ შეინარჩუნო, ახლოს არ უნდა გაიკარო სასოწარკვეთის გრძნობა. ამ გამორჩეული ხასიათის ადამიანზე მეტ-ნაკლებად ზუსტი აზრი რომ შეგვექმნას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის შრომობდა სრულიად მარტო. ამის გამო კი, თავისი არსებობის მიწურულს, ლაპარაკის ჩვევაც დაკარგა. ან იქნებ ეს ჩვევა საჭიროდაც აღარ მიაჩნდა?

1933 წელს მას ესტუმრა ვიღაც ტყისმცველი, თან მოიტანა ბრძანება, რომლითაც ელზეარს ეკრძალებოდა ტყეში ცეცხლის დანთება, რათა საფრთხეში არ ჩავარდნილიყო ეს ,,ბუნებრივად" მზარდი ტყე. არნახული და არგაგონილი ამბავიაო, ეუბნებოდა მას გულუბრყვილო სტუმარი, რომ ტყე თავისით გაიზარდაო. ამ ხანებში ელზეარი 12 კმ-ის დაშორებით მუშაობდა თავისი სახლიდან, წიფელს აშენებდა. მას უკვე 75 წელი შესრულებოდა და აქეთ-იქით სიარულს რომ არ გადაეღალა, გადაწყვიტა, ქვის ქოხი აეშენებია თავისი ახალი პლანტაციის მახლობლად. ერთი წლის შემდეგ განზრახვა შეისრულა.

1935 წელს ადმინისტრაციული დელეგაცია ჩამოვიდა «ბუნებრივი ტყის» შესამოწმებლად, რომლის შემადგენლობაში იყო ტყეებისა და წყლების დაცვის დიდჩინოსანი პერსონა, დეპუტატი, ტექნიკოსები. ბევრი ფუჭი სიტყვა ითქვა. გადაწყვეტილებაც მიიღეს, რაღაც ეღონათ, მაგრამ, საბედნიეროდ, არაფერი გაკეთდა ერთი რამის გარდა – ტყე სახელმწიფოს მფარველობას დაექვემდებარა და იქ ნახშირის წარმოება აიკრძალა. შეუძლებელი იყო, არ დამონებოდით ამ ახალგაზრდა, საღზე საღი ხეების სილამაზეს, რომლებმაც თვით დეპუტატებიც კი მოხიბლეს. დელეგაციაში შემავალ ტყისმცველთა მეთაურებს შორის ერთი მეგობარი მყავდა, რომელსაც გავანდე ეს საიდუმლო. ერთი კვირის შემდეგ, ორივემ ელზეარ ბუფიეს სანახავად გავსწიეთ. ჩემი მეგობარი მეტყევე არ გახლდათ უბრალო ადამიანი. მან ყველაფრის ფასი იცოდა და დუმილიც შეეძლო. საუზმე სამად გავანაწილეთ და არ მახსოვს, რამდენი საათი გავატარეთ პეიზაჟის იდუმალ ჭვრეტაში.

მხარე, საიდანაც ჩვენ მოვდიოდით, შვიდიოდე მეტრი სიმაღლის ხეებით იყო დაფარული. ვიგონებდი, როგორი იყო ეს ადგილები 1913 წელს, – ნამდვილი უდაბნო, მაგრამ დინჯმა და გამუდმებულმა შრომამ, მთის სუფთა ჰაერმა, ზომიერებამ და განსაკუთრებით კი, სულიერმა სიმშვიდემ, ეს მოხუცი გასაოცრად გააჯანსაღა. ეს იყო ღმერთის მიერ შექმნილი გოლიათი და მე ვეკითხებოდი საკუთარ თავს, თუ რამდენ ჰექტარ მიწას გადაფარავდა მომავალში მისი ხელით დარგული ტყე.

,,ამ კეთილმა კაცმა ჩემზე მეტი იცის – მითხრა წასვლის წინ მეგობარმა, – მან ყველა ჩვენგანზე მეტი იცის, მან იპოვა ბედნიერებისაკენ მიმავალი ღირსეული გზა." აი, ამ ტყისმცველის წყალობით იქნა შენარჩუნებული არამარტო ტყე, არამედ ელზეარ ბუფიეს ბედნიერებაც. დამცველებად მან შეარჩია სამი ტყისმცველი და ისე მკაცრად დამოძღვრა, რომ მენახშირეებმა ისინი ქრთამით ვერ მოისყიდეს.

ამ, მართლაც, მშვენიერ ტყეს საფრთხე მხოლოდ 1939 წლის ომის დროს დაემუქრა. გაზგენერატორზე მომუშავე მანქანებს არ ჰყოფნიდათ შეშა. მაშინ დაიწყეს 1910 წელს დარგული მუხების ჭრა, მაგრამ ეს კვარტალი ისე შორს იყო საგზაო ქსელისაგან, რომ ამ წამოწყებას, დიდი ხარჯების გამო, განხორციელება არ ეწერა. ბუფიეს არაფერი დაუნახავს. ამ ადგილებიდან 30 კმ-ზე იმყოფებოდა და მშვიდად აგრძელებდა თავის საქმეს, არა უწყოდა რა არც 38 წლის ომის, ისევე, როგორც 1914 წლის ომის შესახებ.

უკანასკნელად ელზეარ ბუფიე 1945 წლის ივნისში ვნახე. მაშინ 87 წლის იყო. მიუხედავად იმ ნგრევისა, რაც ომმა მოუტანა ხალხს, მაინც მოძრაობდა ავტობუსი, რომელიც დიურანსის ხეობას მთასთან აკავშირებდა. მე კვლავ დავადექი უდაბნოს გზას. ის ფაქტი, რომ ვეღარ ვცნობდი ჩემს პირველ სასეირნო ადგილებს, სწრაფ ტრანსპორტს გადავაბრალე. მეჩვენებოდა, რომ სულ ახალ და უცნობ ადგილებში ვხვდებოდი. ძლივს გავიხსენე სოფლის სახელი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ სწორედ ეს იყო ის გავერანებული, უკაცრიელი რეგიონი, სადაც ადრე ვიყავი. ავტობუსმა ვერგონში გამიყვანა. 1913 წელს, ამ დაბაში სულ სამი მოსახლე დაითვლებოდა და რამდენიმე პატარა სახლი იდგა. ისინი გაველურებული ადამიანები იყვნენ, ერთმანეთი სძულდათ, ხაფანგით ნადირობდნენ და ამით ცხოვრობდნენ. თავიანთი მორალური და ფიზიკური მდგომარეობით ახლოს იდგნენ პირველყოფილ ადამიანებთან. ჭინჭარს გადაევლო მიტოვებული სადგომებისათვის. უიმედო იყო მათი მდგომარეობა, ალბათ ისღა დარჩენოდათ, სიკვდილს დალოდებოდნენ. ასეთი ვითარება, აბა, ვის განაწყობდა რაიმე სასიკეთო ქმედებისაკენ?

ახლა კი ყველაფერი შეცვლილიყო, თვით ჰაერიც კი. ოდესღაც მშრალი და ხორშაკი ქარების ნაცვლად, ახლა სურნელოვანი და რბილი ნიავი ქროდა. მთის სიმაღლეებიდან წამოსული ქარის ხმა წყლის ჩხრიალს წააგავდა. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება, რაც მაშინ ვიხილე, ეს იყო წყაროდან აუზში გადმომჩქეფარე ცინცხალი წყალი. მის გვერდით ყვაოდა აღორძინების ნამდვილი სიმბოლო ცაცხვი, რომელიც ოთხ წელიწადში უკვე ტანაყრილი ხე იქნებოდა.

ვერგონსაც დატყობოდა მშრომელი ადამიანის ხელი. ჩამოქცეული კედლების ნაშთები დაენგრიათ, ნანგრევები გაეზიდათ და ხუთი სახლი აეშენებიათ. დაბა ახლა ოცდარვა კომლს ითვლიდა, რომელთა შორის ოთხი ახალშექმნილი ოჯახი იყო. ახლად შელესილ სახლებს გარს ბაღები და ბოსტნები ერტყა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა ბოსტნეული და ყვავილები. ამიერიდან, ადამიანებს უთუოდ გაუჩნდებოდათ ამ ადგილებში ცხოვრების სურვილი.

გზას ფეხით მივუყვებოდი. ომი, რომელსაც თავი ძლივს დავაღწიეთ, არ იძლეოდა სიცოცხლის სრული გაფურჩქვნის საშუალებას. მაგრამ ლაზარესაგან შორს იყო სიკვდილი. მთის დამრეც კალთაზე მე ვხედავდი ქერისა და ჭვავის ყანებს, ვიწრო ხეობის სიღრმეში კი ველი ამწვანებულიყო.

ახლა უკვე რვა წელი გვაშორებს იმ ხანას. რვა წელი შეიქნა საჭირო იმისათვის, რომ ნანგრევების ადგილზე, რომელიც 1913 წელს ვნახე, ეს უხვი და ჯანსაღი მხარე გაბრწყინებულიყო, მშვენივრად გაწყობილი კერძო ფერმებით. ტყის მიერ შენარჩუნებული თოვლითა და წვიმით ნაკვები წყაროები გაცოცხლდა, გაიყვანეს არხები. ყოველი ფერმერის სახლთან ნახავდით ნეკერჩხლის ბუჩქებსა და ქორფა პიტნის ხალიჩაზე მოჩუხჩუხე წყაროს. ნელ-ნელა აშენდა სოფლები. ბარიდან ამოსული ხალხი (სადაც მიწა ძვირი ღირს), დამკვიდრდა ამ მხარეში და თან ახალგაზრდული მხიარულება მოიტანა. ქუჩაში შეხვდებოდით მოვლილ, კარგად ჩაცმულ-დახურულსა და დაპურებულ ახალგაზრდებს, ვაჟს თუ ქალიშვილს, ვისთვისაც უცხო როდი იყო სიცილი. ისინი სოფლის დღესასწაულების ხშირი სტუმრებიც იყვნენ. თუ იმ ძველ მოსახლეთა რიცხვს, რომელთაც აღარც ახსოვდათ ძველი სიმძიმილი, დავამატებდით ახალს, ათი ათასამდე პირს მივიღებდით. აი, რამდენი ადამიანი უნდა უმადლოდეს ბედნიერებას ელზეარ ბუფიეს.

თუკი დავფიქრდებით იმაზე, რომ სულ უბრალო, ყოველგვარ თანადგომას მოკლებულმა, მარტოხელა ადამიანმა შეძლო, ეს უდაბნო ექცია ქანაანის ქვეყნად, მაშინ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ადამიანის არსებობა მომხიბლავია. არც ის უნდა დავივიწყოთ, თუ როგორი სულიერი სიდიადისა და კეთილშობილური გზნების შედეგი იყო ეს ყველაფერი. მე უზარმაზარი პატივისცემა მიპყრობს ამ მოხუცი, გაუნათლებელი გლეხის მიმართ, ვინც კარგად იცოდა, თუ როგორ ეკეთებინა ღვთისდარი საქმე.

1947 წელს ელზეარ ბუფიე ბანონის თავშესაფარში მშვიდად გარდაიცვალა.

ფრანგულიდან თარგმნა **ლია დარაშვილმა**

დათო ლომაძე

***

ლექსის წერა შევწყვიტე და
არტისტობა მოვინდომე,
მრავალსახა ჯამბაზების
მასკარადი მოვიგონე.
ხან მგელი ვარ რეჟისორის,
ხან – ცხვრის ქურქში გახვეული,
ხან მაცვია მეფის ჩოხა,
ხანაც – ფლასი დახეული.
ზოგჯერ მონა სიყვარულის,
ნასროლ ტალახს მეც ავიტან,
გულში უსამართლო ლახვარს
მეც მოვითმენ, ვით მარიტა.
ხან წარსულის გმირი ვარ და
მტერთან შეყრას ვნატრობ გზაზე,
ზოგჯერ გულში ვტირივარ და
სხვის ჯვარს ვზიდავ გოლგოთაზე...
პოეზია აღარ მინდა,
ჯამბაზობა მირჩევნია...
და ვეღარ ვცნობ შორი გზიდან
ვინ სხვისია, ვინ ჩემია!
ჰოდა, ასე, ,,დამევასეთ"
მოსეირე ჯამბაზები,
,,ბედნიერი" ცხოვრებისგან
აღარასდროს გავბრაზდები.

**ომი გრძელდება**

ომი დამთავრდა? – არა! გრძელდება,
ომი, ფეხდაფეხ, კვალში მოგყვება!
სიკვდილის მაცნე – შავი აჩრდილი
წამზომს ითვლის და გიახლოვდება.
გაქრა სინდისი, როგორც სიზმარი,
სუფთა გული და რწმენა, ზნეობა...
ქართველმა სახე უკვე დაკარგა,
იმედიც გაქრა, გაქრა მხნეობა!
აღარც ერეკლე, აღარც თამარი,
აღზევებულა ,,მავანთ-მავანი"!
მორალს გვიკითხავს მამათმავალი!
თავზე გვექცევა ზეცის თავანი!
გულში ეშმაკმა ბინა დაიდო,
ომი გრძელდება, ომი წყეული!
ქართლის გული და ქართლის სავანე
წარსულს მისტირის, როგორც სნეული...

# პოეზია – თანამგზავი

ანა ახმეტელი

* * *

დღეს მზის შესანდობარს
გული სვამს ფიალით...
ყვითლდები, ბალახო,
ქარი, ნაადრევად, ძლივს აფრიალებს
ფიფქების ბალახონს...
აღარ ჩურჩულებს, ვიწრო კალაპოტში
წყალი მდუმარეა,
ხდება არაფერი...
აქ ხომ არაფერიც უცხო სტუმარია!
ზეცას ნაპკურები ტირიფის ცრემლისთვის
ვინმეს თუ ეცალა?
იქნებ, ასე სჯობდა? –
დაგვრჩა სარეცელი
ჩვენ ორს, ისევ, ცალად...
პულსივით ჩერდება მზე და
გასდის ვადა,
სამძიმარს იფერებს...
იქნებ, ერთ ღამეში,
უკვე შეგვიყვარდა
სტუმარი – სიბერე...

**უძილობა**

კატები საბრალოდ კვნესიან,
ნაბიჯებს შევიგრძნობ შორიდან,
ჩემთვის კი, შენი ხმა ლექსია,
ვიცი და მოსმენა მომინდა...
ღვიძილო, თავს რად არ მანებებ,
გამხელენ უძრავი ნაკვთები,
თავს მახვევ უზნეო ზმანებებს
და ღამის წყვდიადში გაკრთები...
სარკმელი, თოვლისფერ ვუალით,
ბინდბუნდის ცისფერი ნუგეშით,
ვმშვიდდები... არ მითხრა უარი,
ვეხვევი ამ სიმსუბუქეში...

* * *

ასე იცის გაზაფხულის დამდეგს,
თოვლქვეშ მშვიდად რომ ისვენებს ველი,
მოქნილი და რბილი ქარი დამდევს
და ხეებმაც მოიღერეს ყელი!
ეს სხეულიც, მოფარფატე ყუნწით,
საკუთარი სიმსუბუქის ფერი,
იმ მოსაწყენ მელოდიას, უწინ,
იხსენებს და ახალივით მღერის...

* * *

რად მომიწამლეთ პურ-წყალი კრულვით
და შემიცვალეთ დარი ავდარით?
რატომ გამხადეთ, მბორგავი სულით,
გამოქვაბულის ყრუ ბინადარი?
მუდამ სდევნიდა პოეტებს რისხვა,
(თუმც, ვუერთგულე სამშობლოს, მოყვასს.)
ჩვენ სინანულის სამოსელს ვისხამთ
და სანთლით ხელში ჯალათი მოგვყავს...
და აყმუვლდება სული ფოტინით,
ბედს მიენდობა სუსტი ნაფოტი,
მოჭრილ ტოტივით მძიმედ ხროტინებს
ცხოვრების ძელი და ეშაფოტი!

* * *

ვუმზერ შეშფოთებით მუქ პალატებს,
ჩვეულ სიმჩატეს გავეცალე, თავქარიანს...
წყეულ სიცეტესაც ვუღალატე
და ზეციური განმკითხველნიც აქ არიან!
მსჯავრდებულივით ისევ ველტვი
უსასრულო განაჩენის იმ ალაგებს...
და მეხად მეცემა გულზე ბელტი, –
ჯერ არარსებულ სამარესაც მივალაგებ.
სადღაც, სიცხესა თუ სიცივეში,
ჩემი კათარზისი და ჯვარი მომელის...
სულს რომ გაეყრება მყრალი ლეში –
იმ უკანასკნელი სამსჯავროს მდომელი!..

* * *

დამმარხე, დამმარხე, ქარო,
უჭირისუფლო ვარ, ხედავ!
მოელის პირღია ხარო
ამ ჩემს გაციებულ ცხედარს!..
ვისურვე იმაზე მეტი
სიცოცხლე, რაც მერგო წილად,
ვიყავი შენსავით ცეტი,
შენსავით... დიდი ხნის წინათ.
ამ შავი ჭრილობის კვნესას
როგორღაც...როგორმე, ვითმენ,
ფსალმუნებს აღმივლენს მესსად
ღრუბელი – ცის მედავითნე!
რომ ჩემს უკანასკნელ ურვას
შევხვდე მოშრიალე ისლით,
სიზმარს გაზაფხული უყვარს,
ქარო, გაუფანტე ნისლი...

**განაჩენი**

ჯერაც მფეთქავი გულივით ვზიდავ
დაცემულ სიტყვას, მძიმელოდიანს,
ველოდებოდი შორეულ გზიდან
სულის მოსათქმელ ძველ მელოდიას.
შეახმეს ხსოვნას ეს ფრთები თუნდაც,
დღეს საზრუნავით ვარ დახუნძლული,
კვლავ გამოძერწავს ყინულის გუნდას
ჩემი სიცოცხლის ცივი კუნძული...
ზაფხულის ცხელი შრიალი შეწყდა
და გაიპარა ისევ უჩუმრად,
უცხო სინათლემ წინასწარ შემძრა
და ცარიელი სახლის ჩურჩულმა...

* * *

ალმური ასდის ბალიშის ლოყას –
სურვილი ორის,
ჩაღვენთილ სანთელს აისი მოჰყავს...
და ყრანტალს ყორნის
ვგრძნობ, მახვილივით ცივი არის,
ვით ღამის თევა...
და უძილობა თეთრი ხმაურით
ისე მეხვევა...
რა აუტანლად თეთრია ფარდის
სარკმელში რხევა!
მომხედე, მე ვარ...

რუსულიდან თარგმნა **ეკა ბაქრაძემ**

# სტუმარი რედიოხიდან

ვიჩა სხილაძე

### შეხვედრა

შვილს

რა უბრალოდ იხსნებიან
გულის ცრემლის საგუბრები,
რა უბრალოდ იწყებიან,
ნია, შენთან საუბრები,
სიზმრებიდან მოჩანს გზები,
გზები – შენთან დაუბრების,
თვალებიდან შუქი კრთების
ნიამორის და ნუკრების.
მეშინია ჟამის ფრთების
და სიბნელის დამუქრების...
რა უბრალოდ იწყებიან,
ნია, შენთან საუბრები!

### ჩურჩული სიბნელეში

რა კარგი არის სიცარიელე,
აქ ხომ ვერავინ შემეცილება...
არც მისალმება მომიწევს გრილი,
არც თვალზე ცრემლი, არც გაცილება.
გულში ფიქრების ჩუმი რიალი –
მხოლოდ ეს არის ჩემი უფლება,
სულ არ მაღელვებს სოფლის ტრიალი,
ცა იწმინდება, თუ იქუფრება.
როგორც იები – მარტივი, ციდა,
მინდა, სიტყვებიც მარტით ელავდნენ.
რა დიდი გზაა მარტოკაციდან
სიზმარში ნანახ წარმოდგენამდე...
რა კარგი არის, რომ ვერ ვიძინებ,
სინათლეს დიდი ხმა ემატება,
როცა თვალებში სხვას შესციცინებ,
ჩემს გულში ელავს შენი ნათება.

### სინათლე ლაბირინთში

როცა გუბდება გულში სანთლის წარმავალობა
და მისი ქრობით აალდება ქარის ნამღერი,
სინათლესავით შორი მოჩანს შენი წყალობა,
ჩემს წამწამებზე ახლო არის შენი ნამქერი.
ხვალინდელი დღე უნაპირო ღამით თენდება,
ყოველი წამი გულის ფეთქვამ გამოიძია,
ყოველ წამისგან, აქ, სიცოცხლის სახლი შენდება,
სადაც არიან, არც არიან და არც იციან.
როცა იწყება ყვავილებით ჩემი ნათლობა,
დამავიწყდება, ლაბირინთის რომ ვართ მკვიდრები.
ამ სინათლისთვის მინდა, გითხრა დიდი მადლობა,
რომ ვართ უზომოდ ღარიბები და, თან, მდიდრები.

### ზარი

მე ვარ ზარის ხმა, რომ ესიზმრათ ვარდებს, ნარგიზებს,
შენი გული კი სამრეკლოა, სადაც ვდუმდები,
მე ვარ ყვავილი მოელვარე შენს გულსაკიდზე,
შენს გაზაფხულში მინდა მოსვლა და ვერ ვბრუნდები.
შენი ცა ისე უძიროა და მოციალე,
მე ვარ დაისი, დიდი ზარი ხმაჩაწყვეტილი.
როცა წავედი, ჩემი სახე შევატრიალე
ვარსკვლავებისკენ... ელვარებდა ბნელი წერტილი.
ჩემს ხმაში ათას ველის ყვავილს გააქვს ღაღანი,
მაინც არ გესმის ჩემი ცრემლის დიდი ხარება,
ვიღაც იზრდება ჩემში წმინდა, ცამდე მაღალი
და შენს სიზმრებში დაბნეული დაიარება.

### გადატეხილი კენწერო

აქ მზე ამოდის და ჩადის ფულზე,
დოლარისფერი ჩანს სააქაო,
დომინოსავით დაწვები გულზე,
საგულდაგულოდ გათლილო ქვაო.
აღარ ანათებს აქ წითლად ბლები,
ხეზე არ სხედან ჭრელი ჩიტები,
აქ მხოლოდ ისმის ტირილი ბრმების
და სიგრილეა ჭვარტლის, ბინდების.
ცის შავმა წერომ – მზემ ბედისწერის
გულს ჩაგალურსმა სხივთა ფინალი,
გადატეხილი დარჩა კენწერო,
ხეზე აღარ ჩანს წლების კინწალი..
ალბათ, ხანდახან, თუ ახელ თვალებს
და გულისფერი გახსოვს ვარსკვლავი,
სერზე შედგება ბავშვი და მთვარე,
წელამდე თოვლი არის საკვალი.
საით წახვედი მითხარი, მამა,
გზა არსაითკენ! – რეკავს საათი!
ღმერთმა ტკივილი თუ დაგიამა,
თუ გესმის სოფლის ცრუ მასლაათი...

### მზე ზამთარში

მოწყენილია რაფაზე ბალბა,
უნდა ზამთარში თბილი მზე ჩანდეს,
მე ახლობლებში ვიღიმი ყალბად,
ყალბ ფაიფურით ვსვამ „რიო გრანდეს“.
მკლავს თავდახრილი ვარდების დამბლა,
რაც ვარსკვლავების განგებას მანდეს,
სინათლის სხივი მოწვეთავს დაბლა,
ეცემა გულზე შერისხულ დანტეს.
მე შენს ხმას ბოლოს შევისმენ, ალბათ,
მინდა, გულს სისხლის ცრემლები მბანდეს,
ეს გული სისხლის ცრემლებით დალბა,
დაეცა შუქი უღრანს და ღრანტეს.
ჩანს ახლოს სანთელჩადგმული ტაბლა,
ქარი მხარს გაჰკრავს ანთებულ სანთელს,
მე ახლობლებში ვიღიმი ყალბად,
ყალბ ფაიფურით ვსვამ „რიო გრანდეს“.

### ადრეული ზამთარი

ზამთრის წინ ვარდი დაიკოკრება
და ინათებენ ყვითლად გოგრები,
გულში სხივების ცდილობ მოკრებას,
თვალნათელ ბავშვებს ემეგობრები.
სერზე გადიფრენს საფლავის ყვავი,
ენაჭარტალა და მესოფლია,
შენ კი გახარებს სიმინდის ხვავი,
სავსე მტევნებიც შენი ოფლია.
დილით აღარ ჩანს დავითოული,
ბნელ ველზე დგახარ სანთელჩამქრალი,
შენ წინ ყელამდე არის თოული,
ფეხქვეშ ვარდება დიდი ნაპრალი.
შენთვის არასდროს მოვა მაისი,
ვარდებს არავინ აგიბრიალებს,
შენ გიცდის მხარე არარაისი,
იქ სისხლი წვეთავს, დანა პრიალებს!..
ქარი ვარდებზე ცდილობს დაშვებას,
ვტირი, ბავშვები რომ არ გამშვენებს,
ჰე, მეგობარო ჩემი ბავშვობის,
შენი ფანჯარაც ამოაშენეს...

რედაქტორი ეკა ბაქრაძე